



სოციალური მეშაკების გათავისუფლების პროცესი დარღვევებით მიმდინარეობს

ხელმომწერი ორგანიზაციებისთვის მიუღებელია, რეორგანიზაციის საბაბით და ბუნდოვანი დასაბუთებით, კვალიფიციური სოციალური მეშაკების თანამდებობიდან გათავისუფლების ფაქტი, განსაკუთრებით იმ პირობებში, როცა ბევრი გამოწვევის წინაშე მდგარ სოციალური მომსახურების სისტემას გამართული მეშაობისთვის სასიცოცხლოდ სჭირდება მეტი კვალიფიციური კადრი.

2020 წლის 29 იანვარს სოციალური მომსახურების სააგენტოს 40-მდე სოციალურმა მეშაკმა (მათ შორის უფროსმა სოციალურმა მეშაკებმა) დამსაქმებლისგან მიიღეს შეტყობინება, რომ სოციალური მომსახურების სააგენტოში მიმდინარე რეორგანიზაციის

ფარგლებში დაგეგმილი ცვლილებების შედეგად, 2020 წლის 1-ლი თებერვლიდან უწყდებოდათ შრომითი ხელშეკრულება.

„შვილად აყვანისა და მინდობითი აღზრდის შესახებ“ საქართველოს კანონში 2019 წლის 11 დეკემბრის [ცვლილებების](#) თანახმად, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მეურვეობისა და მზრუნველობის, ასევე საერთაშორისო შვილად აყვანის უფლება-მოვალეობები უნდა გადაეცეს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს სახელმწიფო ბრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა და დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს. ამავე ცვლილებების თანახმად, ბრუნვის სააგენტომ საჭიროების შემთხვევაში უნდა უზრუნველყოს სოციალური მომსახურების სააგენტოში შტატიტ დასაქმებულ თანამშრომელთა და შტატგარეშე მომუშავეთა უკონკურსოდ გადაყვანა შესაბამის თანამდებობებზე.

ტრეფიკინგის ფონდი ავრცელებს განცხადებას, რომ სოციალური მუშაკების შტატების რაოდენობის გაზრდა იგეგმება, რაც მიუთითებს იმას, რომ ახალ უწყებაში სოციალური მუშაკების საჭიროება დგას.

შეგახსენებთ, რომ სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური მუშაკები წლებია დგანან უმძიმესი გამოწვევების წინაშე. ერთუფეს და სიცოცხლისთვის საშიშ პირობებში მუშაობენ საზოგადოების კეთილდღეობისა და ყველაზე დაუცველი ჯგუფების სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და სოციალური უფლებების დასაცავად. ამავე სააგენტოს სოციალურ მუშაკთა 2019 წლის თებერვალში დაწყებული გაფიცვის ერთ-ერთი უმთავრესი მოთხოვნა სწორედ სისტემაში კადრების დამატება იყო, ვინაიდან თითოეული სოციალური მუშაკი თვის მანძილზე საშუალოდ 100-150 შემთხვევაზე მუშაობს, რაც მნიშვნელოვნად აჭარბებს საქმეთა გონივრულ რაოდენობას.

კადრების სიმცირის გამო წუხილი არა ერთხელ გამოუთქვამს თავად ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, ისევე როგორც კანონმდებლებს, არასამთავრობო სექტორს და საერთაშორისო ორგანიზაციებს.

სოციალური მუშაობის შესახებ კანონის [სამოქმედო გეგმის](#) თანახმად, ჯანდაცვის სამინისტროს 2019 წლისთვის უნდა უზრუნველყოს 50 სოციალური მუშაკის დამატება. თუმცა აღსანიშნავია, რომ ახალი კადრების დამატება თავისთავად გამომწვევას წარმოადგენს, მათ შორის, სოციალური მუშაკის სამუშაოს გადატვირთულობის და შრომის დაბალი სტანდარტების გამო.

ამ ყველაფრის ფონზე კიდევ უფრო გაუგებარი ხდება, რატომ დაითხოვეს სამსახურიდან

40-მდე კვალიფიციური და გამოცდილი სოციალური მუშაკი. ასევე, გაურკვეველია რა კრიტერიუმით მოხდა ადამიანების შერჩევა და რა გახდა მათი გათავისუფლების სამართლებრივი საფუძველი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გათავისუფლებული სოციალური მუშაკები მონაწილეობას იღებდნენ სოციალური მუშაკების ზემოთნახსენებ კოლექტიურ დავაში და ნაწილი მათგანი აქტიურ მონაწილეობას იღებდა გაფიცვის ორგანიზებასა და საჯარო პროტესტის გამოხატვაში, რაც აჩენს ეჭვს, რომ გათავისუფლებული თანამშრომლები სწორედ პროტესტის გამო დაისაჯნენ.

ჩვენ, ხელმომწერი ორგანიზაციები მოვითხოვთ:

ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსგან:

- დაასაბუთოს რეორგანიზაციის დროს სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური მუშაკების თანამდებობიდან გათავისუფლების საჭიროება და განმარტოს გათავისუფლების კრიტერიუმები;
- უზრუნველყოს რეორგანიზაციის პროცესის გამჭვირვალობა და მასში სოციალური მუშაკებისა და პროფესიული კავშირების ჩართულობა;
- რეორგანიზაციის პროცესი წარიმართოს 2019 წლის 11 დეკემბრის საკანონმდებლო ცვლილების შესაბამისად და სოციალურ მუშაკთა დანიშვნა სააგენტოში მოხდეს უკონკურსოდ.
- დაუყოვნებლივ დაიწყოს სოციალური სერვისებისა და სოციალური მუშაობის გადააზრება, შესაბამის კვლევებზე დაყრდნობითა და დარგის სპეციალისტების ჩართულობით დაგეგმოს ამ სფეროს რეფორმისთვის საჭირო ნაბიჯები, მათ შორის ახალი სერვისების შექმნის მიმართულებით.

დამოუკიდებელი პროფესიული კავშირი - „სოციალურ მუშაკთა გაერთიანება“

დამოუკიდებელი პროფესიული კავშირი - „სოლიდარობის ქსელი“

დამოუკიდებელი პროფესიული კავშირი - „ერთობა 2013“

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

ფონდი ღია საზოგადოება საქართველო